



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2011 წლის 26 ივნისს  
**703 დადგენილებით**  
**მოდიფიცირებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2013 წლის  
**დადგენილებით**

**სარკინიგზო გადამზიდავი- 040754**  
**Railway Carrier of Cargo**  
**პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამა**

- I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: **სარკინიგზო გადამზიდავი**
- II. პროფესიული განათლების საფეხური: **მესამე**
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.**
- IV. პროგრამის მოცულობა: **60 კრედიტი-1500 საათი (1 კრედიტი – 25 სთ). აქედან: 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის, 24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის. (საკონტაქტო საათი –525; დამოუკიდებელი –263; შუალედური /დასკვნითი–84/28 );**
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: **მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;**
- VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:  
 პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის სარკინიგზო გადამზიდავი, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა და აწარმოოს: საუბნო, დამახარისხებელი და სატვირთო სადგურებში სატვირთო საბუთების დამუშავება; გადაზიდვის ღირებულების განსაზღვრა; აღრიცხვის წარმოება ტვირთების გადაზიდვებზე და გაანგარიშება; მატარებელთა განფორმირებისა და ფორმირების განხორციელება; ვაგონის კომერციული დათვალიერება და სატვირთო ოპერაციების ჩატარება; ამწე-სატრანსპორტო მანქანების გამოყენება დატვირთვა – გადმოტვირთვის სამუშაოებში.

**VII. სწავლის შედეგი:**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის რკინიგზის კომერციული ექსპლუატაციის ორგანიზაციისა და მართვის პრინციპები; საქართველოს სარკინიგზო კოდექსისა და რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების ძირითადი დებულებები; სხვადასხვა სახის სატარიფო სახელმძღვანელოებით სარგებლობის წესები; გადასახიდ ტვირთებზე სატვირთო დოკუმენტაციის ფორმები; მკაცრი აღრიცხვის ბლანკების შენახვის წესი; მეზობელი ქვეყნების რკინიგზის პოლიგონებზე ტვირთის მიმოქცევის ძირითადი მარშრუტები; მისასვლელი ლიანდაგებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციების სატვირთო ოფისების მუშაობის წესები და განრიგი. რკინიგზის სადგურების ძირითადი მოწყობილობებიდან – სარკინიგზო პარკების განლაგება; სატვირთო და კომერციული მუშაობის მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე – ტვირთების მიღება ვიზირება, ჩაბარება, შენახვა და ტრანსპორტირება;</p>
------------------------------	--	--

		დატვირთვა-გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე – ტვირთების სატრანსპორტო დახარისხება, განლაგება და ვაგონზე დამაგრების წესები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია სატვირთო საბუთების კომპლექტით სარგებლობა; სხვადასხვა სახის ბლანკების შევსება სადგურში ტვირთების მოძრაობის თაობაზე; კოდირებული ინფორმაციის მიღება და გაგზავნა; აღრიცხვის წარმოება ტვირთების გადაზიდვებზე, ანგარიშგება დატვირთვაზე, დაცლაზე, ვაგონთა მოცდენებზე; სატარიფო განაკვეთებისა და დამატებითი ანაკრეფების გაანგარიშება როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო გადაზიდვებში; საკასო წიგნის წარმოება, საკასო ანგარიშგება; სატარიფო მანძილების განსაზღვრა გაგზავნისა და დანიშნულების სადგურებს შორის; ციფრული კოდირების ერთიანი სისტემით სარგებლობა; რკინიგზის სადგურების ძირითადი მოწყობილობებიდან – მატარებელთა განფორმირებისა და ფორმირების განხორციელება; სატვირთო და კომერციული მუშაობის მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე – ვაგონის კომერციული დათვალეირება და სატვირთო ოპერაციების ჩატარება; დატვირთვა-გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე – ამწე სატრანსპორტო მანქანების გამოყენების სფეროები დატვირთვა – გადმოტვირთვის სამუშაოებში.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	აქვს შექმნილ ოპერატიულ სიტუაციებში სატვირთო სამოსამსახურო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხის გადაჭრის უნარი; ინფორმაციის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან, პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსხვავებულ სიტუაციებში; შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური ლიტერატურის პერიოდული გამოცემები, სხვადასხვა სახის ცნობარები და ინტერნეტი; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკულად გამოყენება, საჭირო მასალის მოძიება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია საკუთარ სწავლებაზე პასუხისმგებლობის აღება-ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება დამატებით მოძიებული ლიტერატურით. აქვს უნარი, შეისწავლოს და გაითავისოს საწარმოს უსაფრთხოების ახალი მოთხოვნები და გამოიყენოს თვითგანვითარების პროცესისათვის.

ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას, იცავს დადგენილ ეთიკურ ნორმებს, ფასეულობებსა და უსაფრთხოების წესებს.
--------------	---	--

### VIII. დასაქმების სფერო

სარკინიგზო სადგურის ტექნიკური ოფისის, საინფორმაციო ცენტრებისა და საინფორმაციო ბიუროების ოპერატორი; საქართველოს რკინიგზის დაქვემდებარებაში არსებული ყველა იმ სადგურის მორიგის ოპერატორი, სადაც საშტატო განაკვეთით გათვალისწინებულია ეს თანამდებობა; მიმღები და გამგზავნი პარკის მორიგის, დამხარისხებელი გორაკისა და ფორმირების რაიონის მორიგის ოპერატორი. სამატარებლო შემადგენლობათა განფორმირებისა და ფორმირების ორგანიზაცია; სადგურის ლიანდაგებზე მდგომი ვაგონების დამაგრება; სამანვერო სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებული სასადგურო დოკუმენტების გაფორმება; გადასარბენებზე სხვადასხვა მიზეზით გაჩერებულ მატარებელთა შემოსაზღვრა; საუბნო, დამხარისხებელ და სატვირთო სადგურებში სატვირთო საბუთების დამუშავება; გადაზიდვის ღირებულების განსაზღვრა; აღრიცხვის წარმოება ტვირთების გადაზიდვებზე და ანგარიშგება.

### IX. სწავლის შედეგების რუქა

#### პირველი სემესტრი (30 კრედიტი)

№	ს ა გ ნ ე ბ ი	კოდები	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
			I	II	III	IV	V	VI
1.	უცხოური ენა (ინგლისური) Elementary I	PREL105	X	X	-	X	X	-
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესავალი ინფორმატიკაში, ტექსტური რედაქტორი MS Word), I	PRII105	X	X	-	X	X	-
3.	ხაზვის ზოგადი კურსი	PRDC005	X	X	-	-	-	-
4.	საინჟინრო ეკოლოგიის ზოგადი კურსი	PRIC005	X	X	X	X	X	X
5.	რკინიგზის ტექნიკური აღჭურვილობისა და ექსპლუატაციის ზოგადი კურსი	PRRT005	X	X	-	-	X	X
6.	მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის საფუძვლები (პრაქტიკა)	PRTR005	X	X	-	-	-	X
7.	რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია(პრაქტიკა), I	PRER105	X	X	X	-	X	-
8.	შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების საფუძვლები, ელექტროფიცირებულ რკინიგზაზე	PRFR005	X	X	-	-	-	X

მეორე სემესტრი (30კრედიტი)

№	ს ა გ ნ ე ბ ი	კოდები	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
			I	II	III	IV	V	VI
1.	უცხოური ენა(ინგლისური) Elementary II	PREL205	X	X	-	X	X	-
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ელექტრონული ცხრილები MS Excel) II	PRII205	X	X	-	X	X	-
3.	რკინიგზის სადგურების მოწყობის საფუძვლები (პრაქტიკა)	PRBA005	X	X	X	-	-	X
4.	დატვირთვა - გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია სარკინიგზო ტრანსპორტზე (პრაქტიკა)	PRLT005	X	X	-	-	-	X
5.	რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია (პრაქტიკა)(II)	PRER205	X	X	X	-	X	-
6.	საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და ინსტრუქციები	PRTI005	X	X	-	-	-	X

X. სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
				საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
<b>I სემესტრი</b>										
1.	PREL105	უცხოური ენა (ინგლისური Elementary I)	3	-/30	-	-	-	6/2	37	75
2.	PRII105	ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესავალი ინფორმატიკაში, ტექსტური რედაქტორი MS Word), I	3	-/30	-	-	-	6/2	37	75
3.	PRDC005	ხაზვის ზოგადი კურსი	2	-/30	-	-	-	6/2	12	50
4.	PRIC005	საინჟინრო ეკოლოგიის ზოგადი კურსი	2	30/-	-	-	-	6/2	12	50
5.	PRRT005	რკინიგზის ტექნიკური აღჭურვილობისა და ექსპლუატაციის ზოგადი კურსი	2	30/-	-	-	-	6/2	12	50
6.	PRTR005	მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის საფუძვლები (პრაქტიკა)	8	30/-	-	75	75	6/2	12	200
7.	PRER105	რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია (პრაქტიკა), I	8	30/-	-	75	75	6/2	12	200
8.	PRFR005	შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების საფუძვლები, ელექტროფიცირებულ რკინიგზაზე	2	30/-	-	-	-	6/2	12	50
		<b>სულ I სემესტრში</b>	<b>30</b>	<b>150/90</b>	<b>-</b>	<b>150</b>	<b>150</b>	<b>48/16</b>	<b>146</b>	<b>750</b>
<b>II სემესტრი</b>										
1.	PREL205	უცხოური ენა (ინგლისური Elementary II)	3	-/45	-	-	-	6/2	22	75
2.	PRII205	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ელექტრონული ცხრილები MS Excel) II	3	-/45	-	-	-	6/2	22	75
3.	PRBA005	რკინიგზის სადგურების მოწყობის საფუძვლები (პრაქტიკა)	7	45/30	-	-	75	6/2	17	175

4.	PRLT005	დატვირთვა- გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია სარკინიგზო ტრანსპორტზე (პრაქტიკა)	7	45/30	-	-	75	6/2	17	175
5.	PRER205	რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია (პრაქტიკა), II	7	-	-	75	75	6/2	17	175
6.	PRTI005	საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები დაინსტრუქციები	3	45/-	-	-	-	6/2	22	75
		<b>სულ III სემესტრში</b>	<b>30</b>	<b>135/150</b>	<b>-</b>	<b>75</b>	<b>225</b>	<b>36/12</b>	<b>117</b>	<b>750</b>
<b>სულ</b>			<b>60</b>	<b>525</b>	<b>-</b>	<b>225</b>	<b>375</b>	<b>84/28</b>	<b>263</b>	<b>1500</b>

**შენიშვნა:**

**სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:**

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის. მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

**თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.**

**1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

**2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

**3. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

**4. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

II შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

III შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (2 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

**XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

## **XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
  - (B) – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90%;
  - (C) – კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80%;
  - (D) – დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%;
  - (E) – საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;
- მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

**უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:**

- (FX) – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) – ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

### **შეფასების ფორმა:**

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი გამოცდა

- I შუალედური ტესტირება ტარდება მეშვიდე სასწავლო კვირაში და მოიცავს პირველი ექვსი კვირის მასალას. (20-ქულა)
- II შუალედური ტესტირება ტარდება მეთოთხმეტე სასწავლო კვირაში მოიცავს თორმეტი კვირის მასალას. 20 ქულა
- III შუალედური ტესტირება ტარდება მეთვრამეტე კვირაში და მოიცავს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასალას 30 ქულა

**ტესტირება** - თითოეული ტესტის ვარიანტი შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის შესაბამისად მოიცავს 20 ან 30 კითხვას. ყოველი ერთი სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით

**წერთი დავალება** - ტარდება ბილეთებით. შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის ბილეთში შესაბამისად შედის ორი ან სამი საკითხი თითოეული 10 ქულიანი.

**დემონსტრირება:** სამუშაოს დაწყების ორგანიზაცია-30 ქულა, სამუშაოს შესრულება და წარმართვა-40 ქულა, სამუშაოს დასრულების ორგანიზაცია-30 ქულა.

## **XIII. სწავლების მეთოდები:**

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

	კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
1.	უცხოური ენა (ინგლისური) Elementary I, II	ანა ვანიშვილი ნინო ჩოქური	ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ინგლისური ენის მასწავლებელი
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესავალი სპეციალობაში, ტექსტური რედაქტორი, ელექტრონული ცხრილები) I, II	ლუიზა ავთანდილაშვილი ელენე ოქრომელიძე	მათემატიკოსი ეგმ-ის ინჟინერ-ელექტრიკოსი
3.	ხაზვის ზოგადი კურსი	დემონ ჭეიშვილი თამარ ბაღაშვილი	გზათა მიმოსვლის ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი. ინჟინერ-მექანიკოსი, მანქანათმშენებლობის დისციპლინების მასწავლებელი
4.	საინჟინრო ეკოლოგიის ზოგადი კურსი	ლალი ტაბატაძე	ქიმიკოსი
5.	რკინიგზის კომერციული ექსპლუატაცია, (პრაქტიკა) I, II	ჯემალ მორჩილაძე პეტრე ქენქაძე	ინჟინერ-ეკონომისტი ინჟინერ-გადამზიდი
6.	მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის საფუძვლები (პრაქტიკა)	პეტრე ქენქაძე ლია ჩანადირი	ინჟინერ-გადამზიდი გადამზიდავის პროექტთა მართვაში მიმოსვლის გზათა ინჟინერი.
7.	შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების საფუძვლები ელექტროფიცირებულ რკინიგზაზე	გურამ ხეთაგური	გზათა მიმოსვლის ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი.
8.	რკინიგზის ტექნიკური აღჭურვილობისა და ექსპლუატაციის ზოგადი კურსი	ლია ჩანადირი	გადამზიდავის პროექტთა მართვაში მიმოსვლის გზათა ინჟინერი.
9.	რკინიგზის სადგურების მოწყობის საფუძვლები (პრაქტიკა)	გრიგოლ თელია ლია ჩანადირი	ინჟინერ-გადამზიდავი გადამზიდავის პროექტთა მართვაში მიმოსვლის გზათა ინჟინერი.
10.	დატვირთვა - გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია სარკინიგზო ტრანსპორტზე (პრაქტიკა)	ჯემალი მორჩილაძე პეტრე ქენქაძე	ინჟინერ-ეკონომისტი ინჟინერ-გადამზიდავი
11.	საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და ინსტრუქციები	გიორგი დოდელია ლია ჩანადირი	სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვებისა და მართვის ინჟინერი. გადამზიდავის პროექტთა მართვაში მიმოსვლის გზათა ინჟინერი.



12.	პრაქტიკა	პეტრე ქენქაძე გრიგოლ თელია ჯემალ მორჩილაძე	ინჟინერ-გადამზიდავი ინჟინერ-გადამზიდავი ინჟინერ-ეკონომისტი
-----	----------	--	--

**XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სარკინიგზო გადამზიდავის პროფესიული სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სტუ-ს I კორპუსი თბილისში, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პლაკატები, კომპიუტერის და შესაბამისი პროექტორის საშუალებით ელექტრონული ვიდეომასალის დემონსტრირება).

**XVI. საწარმოო სწავლება /საწარმოო პრაქტიკა/**

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება: სს „საქართველოს რკინიგზას“ საწარმოო ერთეულებში –სს „საქართველოს რკინიგზა“ –სთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში 09.07.2012წ. #8-2012-4; საწარმოო გაერთიანება „ელექტროვაგონშემკეთებელში“ მემორანდუმში 11.10.2010წ.

**XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

სარკინიგზო გადამზიდავის III საფეხურის პროფესიული პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, გააგრძელოს სწავლა ამავე პროფესიის IV საფეხურის პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელი  
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი

პეტრე ქენქაძე  
მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

**მოდულირებულია**

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
ოქმი №1, 20. 09. 2013 წ.  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური